ეროვნული ბიბლიოთეკა

სამშობლო, დედის მუძუი, არ გაიცვლების სხვაზედა...

ოდიში

1991
შაბათი
13
აპრილი
№ 44 (10437)
ფასი 5 კაპ.

ზუგდიდის საზოგადოებრივ-პოლიტიკური გაზეთი

გაზეთი გამოდის 1930 წლის 1 მარტიდან

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის საგანგებო სხდომა

9 აპრილს გაიმართა საქართველოს რესპუბლიკის პირველი მოწვევის უზენაესი საბჭოს პირველი სესიის საგანგებო სხდომა. მის დაწყებამდე შეკრებილებმა წუთიერი დუმილით პატივი მიაგეს საქართველოს შვილების ხსოვნას, რომლებიც ემსხვერპლნენ თბილისში 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკულ მოვლენებს.

დღის წესრიგის მთავარი საკითხი იყო საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენა მისი დამოუკიდებლობის შესახებ 1918 წლის 26 მაისის აქტის საფუძველზე. ამ საკითხის გამო მოხსენება გააკეთა საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარემ ზვიად გამსახურდიამ. ისტორიული ექსკურსის შემდეგ მან დაწვრილებით გააანალიზა თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ქართველი ხალხის ბრძოლის ყველა პერიპეტია, რომელიც დაიწყო მაშინვე, როგორც კი რუსეთის იმპერიამ გასული საუკუნის დამდეგს მოახდინა საქართველოს ანექსია და გააუქმა მისი სახელმწიფოებრიობა.

ბატონმა ზვიად გამსახურდიამ წაიკითხა საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აქტის პროექტი. მის განხილვაში მონაწილეობდნენ დეპუტატები ნოდარ ნათაძე, აპოლონ სილაგაძე, ნინო ჭავახიშვილი, ალიკო მელაძე, საქართველოს რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრი გიორგი ხოშტარია, დეპუტატები გრიგოლ მარგიანი, მზექალა შანიძე, რუსლან ღონღაძე, ლევან ალექსიძე და სხვები.

უზენაესმა საბჭომ ერთხმად მიიღო ეს ნანატრი ჭეშმარიტად ისტორიული დოკუმენტი და თავისი ნება დაადასტურა ხანგრძლივი ტაშითა და ოვაციებით. დარბაზში საზეიმოდ აგუგუნდა საქართველოს რესპუბლიკის ჰიმნი „დიდება".

ეს ღირსშესანიშნავი დღე საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიისა და მისი მეთაურის, სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის სახელით დამსწრეთ მიულოცა უზენაესი საბჭოს წევრმა, ქაშუეთის ეკლესიის წინამძღვარმა მამა არჩილმა. მან აღნიშნა, რომ საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვება დაემთხვა ივერიის ღვთისმშობლის ხატის ხსენებას, რომლის პატივსაცემად დღეს სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქი ლოცვას აღავლენს მცხეთაში. ეს უაღრესად სიმბოლურია, რადგან ივერიის ღვთისმშობელი მფარველობს საქართველოს და სწორედ მან აჩუქა მას დიდი ხნის ნანატრი თავისუფლება.

სესიაზე მიიღეს მიმართვები მსოფლიოს ხალხებისა და სსრ კავშირის პრეზიდენტის მ. გორბაჩოვისადმი, რომელთა ტექსტი წაიკითხა დეპუტატმა თედო პაატაშვილმა.

საქართველოში მცხოვრებ ებრაელთა სახელით რესპუბლიკის უზენაეს საბჭოს მიესალმა მწერალი გურამ ბათიაშვილი. მან წაიკითხა ქართველ ებრაელთა მიმართვა სხვა ქვეყნებში მცხოვრებ ყველა ებრაელისადმი და მოწოდება, მსოფლიო საზოგადოებრიობას გააგებინონ სიმართლე საქართველოზე, თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის მისი ხალხის ბრძოლაზე.

გულთბილად მიესალმა შეკრებილთ ინგუში ხალხის ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობის ლიდერი ისა კოძოევი და გულითადად მიულოცა ქართველ ხალხს ეს ღირსშესანიშნავი დღე. მან ხაზგასმით აღნიშნა, რომ ინგუში ხალხი გულწრფელად სოლიდარობს ქართველ ძმებს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის ბრძოლაში. მან მოუწოდა კავკასიის ყველა ქრისტიან და მუსლიმან ხალხებს მხარი დაუჭირონ თავისუფალ საქართველოს.

შემდეგ უზენაესმა საბჭომ მიიღო კანონი საქართველოს რესპუბლიკის კონსტიტუციისა და კანონმდებლობის მოქმედების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს თავმჯდომარის პირველი მოადგილის აკაკი ასათიანის წინადადებით სესიამ ერთხმად მიიღო დადგენილება საქართველოს რესპუბლიკის პრეზიდენტის თანამდებობის შემოღების შესახებ.

საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოსა და მთავრობის წევრებმა ხელი მოაწერეს საქართველოს სახელმწიფო დამოუკიდებლობის აღდგენის აქტს.

ამით საქართველოს რესპუბლიკის უზენაესი საბჭოს სესიის მორიგმა სხდომამ მუშაობა დაამთავრა.

ვიდგეთ მტკიცედ და შეურყევლად

აღსრულდა ქართველი ერის საუკუნოვანი ოცნება, საქართველომ გამოაცხადა თავი თავისუფლად. სავსებით კანონზომიერად დაემთხვა დამოუკიდებლობის აქტის მიღება ქართული ხალხის აღზევების დღეს—9 აპრილს.

დღეს მთელი ქართველი ერი სიამაყით გაჰყურებს გამოვლილ გზას, გზას, რომელიც ამ ეროვნულ დღესასწაულში დაკრისტალდა და ეროვნული უკვდავების რწმენასთან შეწივთდა.

საქართველოს არასოდეს მოუხრია ქედი მტრის წინაშე. 1801 წლიდანვე დაიწყო იერიში იმპერიაზე. აჯანყებები იფეთქებდა დროდადრო მთელ საქართველოში, სხვადასხვა კუთხეებში.

ნამდვილი იერიში იყო იმპერიის წინააღმდეგ ილია ჭავჭავაძის, აკაკი წერეთლის, იაკობ გოგებაშვილის, ნიკო ნიკოლაძის, ივანე მაჩაბლის და სხვათა თაობის მოსვლა სამოღვაწეო ასპარეზზე. ჩვენმა ერისკაცებმა იმის ნათელი მაგალითი მოგვცეს, თუ როგორ უნდა შეანჯღრიო თვითკმაყოფილებას მიცემული ერი. „ყველა ყრუ, ყველა ცრუი"—აკადრა ილია ჭავჭავაძემ გრიგოლ ორბელიანის საქართველოს. დიდი ილიას ლიტერატურული გმირი ლუარსაბ ლუწია იმ წარსულიდან მოდის როცა „ერი ერობდის, გული გულობდის, ვაჟი ვაჟობდის, ქალი ქალობდის"... მეფის რუსეთმა კი ქართველი ერი ზნეობრივი და ეროვნული დეგრადაციის გზაზე დააყენა.

„ხჯობს მონობაში გადიდკაცებულს, თავისუფლების ძებნაში მკვდარი"—ასე გვმოძღვრავდნენ ჩვენი წინაპრები, ასე გვასწავლა დიდმა აკაკიმ და ამ გრძნობით ვართ გამსჭვალული ახლაც. ვერა, მონობას ვერ შეეგუება ქართველი კაცი, იგი ბოლომდე იბრძოლებს თავისუფლებისათვის ან მოკვდება, ან ძლევს მტანჯველს. ამის საილუსტრაციოდ საქართველოს ისტორიიდან უამრავი ფაქტის მოყვანა შეიძლება. ბერძენი ისტორიკოსის, ქსენოფონტეს აღწერით ქართველი ქალები ბავშვიანად ქარაფებში ვარდებოდნენ და ასე სიკვდილს არჩევდნენ მტრის დამორჩილებას. ეს მაგალითია ჩვენი წინაპრების გულადობისა და სამაყისა, თავისუფლებისადმი უზომო სიყვარულისა. სწორედ დღეს გვჭირდება ასეთი თავგანწირვა, დიდი ნებისყოფა და ვაჟკაცობა. რათა მთელი ჩვენი სულიერი თუ ფიზიკური პოტენციალი მოვახმაროთ საქართველოს სრული დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას, ალბათ შეუძლებელია სხვა უფრო დიდი საფიქრალი და სატკივარი ჰქონდეს დღეს ქართველს. უაღრესად დაძაბულია ჩვენი დღევანდელი დღე. მაგრამ უფალი ხომ გვასწავლის: „იწრო არს ბჭე და საჭირველ გზაი, რომელი მიიყვანებს ცხოვრებასა"—(მათე 7,14).

რთული, მაგრამ საინტერესო დროა. ერთბაშად მოხლეტილად და დაუყოვნებლივ ითხოვს მოგვარებას სოციალური, ეკონომიკური, სამხედრო-პოლიტიკური პრობლემები. საქართველოში ჯერაც ბოგინობენ საოკუპაციო ჯარები. მათი გაყვანა და საერთოდ, მთელი ერის წინაშე მდგარი სასიცოცხლო პრობლემების მოგვარება შეიძლება მაშინ, როცა მოხდება კონსოლიდაცია მთელი ეროვნულ-პატრიოტული ძალებისა. სულმნათი მერაბ კოსტავა ამბობდა: „ეროვნულ-განმანთავისუფლებელი მოძრაობა საქართველოში იმდენად დაიკავებს მართებულ პოზიციას, რამდენადაც ერთიანობის იდეას ყველა სხვა იდეაზე მაღლა დააყენებს, როცა ყველა ჩვენგანს თავად ეს მოძრაობა ეყვარება და არა საკუთარი თავი ამ მოძრაობაში". და მართლაც, დღეს ყველამ უნდა დათმოს ვიწრო-პარტიული ინტერესები და დადგეს ჭეშმარიტად ეროვნულ პოზიციებზე.

შორეულ იერუსალიმში პალესტინის ქართველთა მონასტრის ტაძარზე ამოკვეთილია შემდეგი სიტყვები: „დექ მტკიცედ და შეურყევლად!" მტკიცედ და შეურყევლად უნდა ვიდგეთ დღეს და როგორც კონსტანტინე გამსახურდია იტყოდა, „განვიწმინდოთ გულნი თავისუფლებისათვის!".

თემურ თოლორაია,
ახალაბასთუმნის საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე.

ზეიმი სიხარული

ძნელია გადმოგცეთ ის სიხარული, რაც სესიაზე ბატონ ზვიად გამსახურდიას მიერ წაკითხული საქართველოს სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობის აქტის მოსმენისას განვიცადე. ამ დღეს საქართველოს ასეული ათასობით მცხოვრები დიდი გულისყურით უსმენდა ტელეგადაცემებს, მაგრამ ის რაც თბილისში მთავრობის სასახლის წინ, რუსთაველის პროსპექტზე და თავისუფლების მოედანზე ხდებოდა, რაღაც დაუჯერებელი იყო. ადამიანთა ასეთი კმაყოფილი სახეები არასოდეს მინახავს. მაგრამ ეს არც არის გასაკვირი. საქართველოს დღევანდელ თაობას ასეთი ნათელი და ბედნიერი დღე 1918 წლის 26 მაისის შემდეგ არც კი ახსოვს.

1991 წლის აპრილი საქართველოში მცხოვრები ყველა ქართველისა და საქართველოს საზეიმო დღეა.

მე, როგორც სამი შვილის დედას, უდიდეს სიხარულს მგვრის ის ფაქტი რომ ჩემი შვილები თავისუფალი საქართველოს მოქალაქეები იქნებიან.

ნ. ჯაბუა.

მიწის ყიყვილი

1990 წლის 5 აპრილს გაზეთ „კომუნისტის“ ფურცლებზე დაიბეჭდა გურამ შარაძის პუბლიცისტური წერილი „ფრანგული დღიური“. მეცნიერი იგონებს თავის მოგზაურობებს საფრანგეთში, შეხვედრებს საფრანგეთში გამომავალი ქართული პოლიტიკური ჟურნალის „გუშაგის“ რედაქტორ გიორგი წერეთელთან და მადლობას სწირავს ამ დიდ ქართველს იმის გამო, რომ მისმა ჟურნალმა მისცა საშუალება გასცნობოდა საფრანგეთში მოღვაწე ბევრ სახელო თანამემამულეს და მათ შორის, ერთ-ერთ ყველაზე უძვირფასესს ბატონ კლოდ დე კემულარიას.

სახუმარო სახელი არ გახლავთ კლოდ დე კემულარია. იგი ის ჭაცია, ვისითაც შეიძლება იამაყოს მისმა სამშობლომ. იგია პარიზისა და ჰოლანდიის ბანკის მრჩეველი, საფრანგეთის „საპატიო ლეგიონის“ ოფიცერი, გაერთიანებულ ერთა საფრანგეთის საზოგადოების თავმჯდომარე, საფრანგეთის პრეზიდენტის ემისარი საუდის არაბეთში, მაგრამ ყველაზე მთავარი: ბატონი კლოდი ის ქართველია, ვისაც საქართველოს ბედი აწუხებს და ვისი ბაბაც წმინდა ლევილში განისვენებს, იმ ლევილში, სადაც ქაქუცა ჩოლოყაშვილისა და ნოე ჟორდანიას სული ტრიალებს...

ბატონი კლოდი აქტიურად ილვწის საქართველო-საფრანგეთის ეკონომიკური განვითარებისა და კულტურული თანამშრომლობის ასოციაციის შექმნისათვის.

და იქნებ ბევრმა არ იცის, რომ რამდენიმე თვის წინ იგი ჩვენი ქალაქის სტუმარი იყო. ჩვენ კი უბრალო წერილითაც ვერ შევეხმიანეთ გაზეთს ამის შესახებ, რათა თანამემამულეებს სცოდნოდათ ის პატარა, ძვირფასი დეტალები, რაც ამ დიდი ადამიანის სამშობლოში მოგზაურობას უკავშირდება.

ესეც რომ არ იყოს, ბატონი კლოდის სტუმრობა ჩვენთან ხომ ქალაქის ერთი პატარა ლამაზი ისტორიული ფურცელია, რომლის დაკოწყება უსულგულობის გამოხატულება იქნება, მაგრამ სჯობს, ყვიან მაინც ითქვას სათქმელი.

როცა ბატონი კლოდი, ქალიშვილთან და რამდენიმე სხვა სტუმართან ერთად, ზუგდიდს ჩამობრძანდა და ქალაქი მოინახულა, მთავრობისა და ინტელიგენციის წარმომადგენლებმა შორეული ქვეყნიდან ჩამოსული თანამემამულე ჯერ ბატონ კოლია აფაქიძის და მერე ბატონ ვალიკო კემულარიას ოჯახში მიიწვიეს.

ქალბატონი ლუიზა, კემულარიების ოჯახის დიასახლისი, ქალაქის პირველი საშუალო სკოლის დირექტორი, საინტერესო და საინტერესო სტუმრები აღფრთოვანდნენ ქართული კერძებით, გემრიელად მიირთმევდნენ კუჭმაჭსა და ელარჯს, ლობიოსა და კაჭაბეს. ბატონ კლოდის ქალიშვილი, ტელერეპორტიორი ელიზაბეტ კემულარია, სენატორის მეუღლე, ფირზე აღბეჭდავდა ყველაფერს, რაც ჯქ ხდებოდა. ქალბატონმა ელიზაბეტმა განაცხადა, რომ იგი ფილმს იღებს საქართველოზე. სანეტარო განწყობილება იყო სუფრაზე. გულმა გული იცნო. ფიქრები ერთმანეთს გადაენასკვა. ყველა ფიქრსა და სათქმელს ერთი სადინარი ჰქონდა— სამშობლო. დავლიეთ საფრანგეთისა და საქართველოს დიდი შვილების სადღეგრძელო. ბატონ კლოდს თვალები აუწყლიანდა: ჩემი სამოცდაათი წლისთავის იუბილეს ორი წლის შემდეგ საქართველოში გადავიხდი ქართული ადათწესებითო,—თქვა და სევდიანად გაგვიცინა: როგორ მინდა, წინაპართა ნაფლავები ვნახოო, ჭუთაისში.

ნახავთ, ბატონო კლოდ, აუცილებლად ნახავთ, მიწა ყოველთვის ეძახის ქართველს, ახლაც ხომ შშობლიური მიწის მადლმა და ყივილმა მოგიყვანთ აქ?!

როგორ გაიხარა ბატონმა კლოდმა ხიბულაში ჩასვლისას! ხიბულა ეპაპანაძეთა. ... კვლავ ... ში უკვე ახლობლადქცეულ ადამიანს, ინტერესით, თითქოს დასამახსოვრებლად ისმენდა ყველაფერს, უხაროდა: კოლია აფაქიძისა და ვალერიან კემულარიას სახით აქ, სამშობლოში, გარეგბიძაშვილები მეგულებიო; ბავშვივით ახარებდა მათი მზრუნველი დამოკიდებულება.

როცა კარლო ქირიამ ბატონ კლოდს ხეზე ამოკვეთილი ილიას პორტრეტი მიართვა საჩუქრად, სტუმარმა „საქართველოს ბულბული“ აკაკი წერეთელი გაიხსენა. რომელსაც, თურმე, ერთ დროს ჭუთაისში, ბაბუამისის, ქალაქის ცნობილი ვაჭრის გრიგოლ კემულარიას სახლში უცხოვრია.

ვათვალიერებ ამ საღამოზე გადაღებულ ფოტოებს და ერთ ფოტოზე ვჩერდები: ბატონი კლოდი ქართულ ნაბადში. ფრანგი ჯენტლმენი აქ უკვე იმ რაინდ ქართველს გგავს, ნაბადშიც რომ ვერ მალავს მშვენიერ მანერებსა და შინაგან სრულყოფილებას.

ეს ნაბადი სტუმარს საჩუქრად მიართვეთო, —მეუბნება ქალბატონი ლუიზა.

დიახ, ეს ნაბადი ამიერიდან ბატონ კლოდს იქ, საფრანგეთში, სამშობლოს გაახსენებს და იმ ხალხს, ვინაც არაფერი დაიშურა მისთვის უდიდესი სიყვარულის დასამტკიცებლად; ვინაც მამა-პაპათა ნაკვალევზე გადაატარა და მათი ხსოვნის წინაშე ნათელყო, ვინც წარუხოცელი სიყვარული და ერთგულება იცის.

მზია ლაბაძე.

დიდი სტუმარი და... ფიქრებს შერჩენილი სათქმელი

ეკონომისტის ტრიბუნა

მიწათმოქმედებს სეზონი ახლა აწყებათ. ეს ყველაზე რთული პერიოდია. პირდაპირ უნდა ითქვათ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების საკითხების ეფექტიან გადაწყვეტაზეა დამოკიდებული ჩვენი სოციალურ ეკონომიკური გარდაქმნები, ჩვენი ადამიანების ცხოვრების დონის ამაღლება.

სახალხო მეურნეობის შემობრუნების ბერკეტად მიიჩნევა შრომის იჯარული ურთიერთობა, რაც იმაზე მიგვითითებს, რომ მწვანე შეკი უნდა ავუნთოთ იჯარულ ურთიერთობას.

იჯარული ურთიერთობის დამყარებისას ძალზე მარტივი და მისაღებია მოიჯარის, ანუ მწარმოებლის მიერ დაბარჯული შრომის ანაზღაურების წესი. იჯარული ურთიერთობის დროს მოიჯარის მიერ დაბარჯული შრომის ანაზღაურება სრულად პასუხობს შრომის საბოლოო შედეგებით მშრომელთა მატერიალური დაინტერესების ამოცანებს. ეს კარგად გაირკვა გასულ წელს ჩვენი კოლმეურნეობის იმ რგოლებში, სადაც დანერგილი იყო შრომის ეს მეთოდი.

მიმდინარე წელს მეჩაიეობის ოცდათოთხმეტი ბრიგადაში დაინერგა შრომის პროგრესული მეთოდი. ფორმდება ხელშეკრულებები. კოლმეურნეობას გააჩნია მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, რითაც შეიძლება შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა მუხლი.

ეკონომიკის განმტკიცებისათვის აუცილებელია იჯარული ურთიერთობის საფუძველზე მოიჯარემ და მეიჯარემ ერთობლივად გაამახვილონ ყურადღება ფართობის ერთეულიდან მაქსიმალური პროდუქციის მიღებისათვის.

ჩვენი კოლმეურნეობის კოლექტივს, რომელიც „საქართველოს“ სახელს ატარებს ორა აქვს უფლება ჩამორჩეს მოვლენებს, პირიქით მისი სახელით მკლამოუღლელად უნდა იშრომოს სახალხო მეურნეობის პროდუქტების შესაქმნელად.

შრომის იჯარულ ფორმას კოლმეურნეთა მხრივ საიმედო დასაყრდენი აქვს, ამის მაგალითია ის ფაქტი, რომ მონდომებით დაიწყო სეზონისათვის მზადება. რიცხული 427 ჰექტარი მოსავლიანი ჩაის პლანტაციიდან დღეისათვის 285 ჰექტარზე ხარისხიანადაა ჩატარებული პლანტაციების გადაბერვა-გაფხვიერება, ფოსფორგანი სასუქები შეტანილია ყველა იმ ფართობზე, რომლებიც განიცდიდნენ ამ მინერალის ნაკლებობას. ნაგულისხმევია 125 ჰექტარი, კალიუმზე თუ. გავამახვილებთ ყურადღებას 295 ჰექტარიდან იგი შეტანილია 135 ჰექტარზე. მიმდინარეობს ჩაის პლანტაციების გასხვლა და იგი ჩატარებულია 95 ჰექტარზე.

ჩვენთან მექანიზებულ კრეფას ექვემდებარება 159 ჰექტარი ჩაის პლანტაცია, ყოველ სეზონში საკრეფად გადის 22 მანქანა, აქედან მზადყოფნის მდგომარეობაშია ჩვიდმეტი „საქართველო“, მართალია, არის რიგი დაბრკოლებებისა, რაც სათადარიგო ნაწილების უკმარისობით გამოწვეული, მაგრამ მეიჯარეები ამას თვითონ ირომკვევენ თავს.

შარშან მეჩაიე მშრომელებმა 4814 ტონა ნედლეული ჩააბარეს მრეწველობას. ოცდაექვსივე ბრიგადამ, გარდა ერთიორი მექანიზებული რგოლისა ყველამ შეასრულა დავალება.

წელს გეგმა 4.110 ტონა გვაქვს, მეიჯარემ საშუალოდ ჰექტარიდან უნდა მიიღოს 9,6 ტონა, მექანიზაციით მომუშავეებმა 7 ტონა, რაც სერიოზულ საკითხებთან არის დაკავშირებული. სამექანიზაციოდ განკუთვნილი ფართობების ნაწილი, რომელიც ორმოციან წლებშია გაშენებული, გადაბერებული და ამორტიზირებულია, უჭირთ მექანიზატორებს დავალების შესრულება.

ადგილობრივი მიკრო ჩაის ფაბრიკა და მეორე ჩაის ფაბრიკაა ჩვენი ნედლეულის მომღები. მიკროფაბრიკის სადღეღამისო წარმადობა 12 ტონაა. ამჟამად მიმდინარეობს მისი რეკონსტრუქცია, რათა წარმადობა აყვანილ იქნას მაქსიმუმამდე.

მიმდინარე წლის სეზონი იქნება განსაკუთრებული. მინდვრის მუშაკებს მხარში უნდა ამოუდგნენ გადამამუშავებელი მრეწველობის მუშაკები. უნდა მოიხსნას „ბოკები“, ვებრძოლოთ ჩაის დანაკარგებს და ეს წამყვანი დარგი ნამდვილად იტყვის თავის სიტყვას რესპუბლიკის ეკონომიკაში.

მომავლის გვეიმედება.

ლუიზა მესხია,
რუხის კოლმეურნეობა „საქართველოს“ მთავარი ეკონომისტი.

მომავლის გვეიმედება

ჟურნალისტი და მთარგმნელი

10 აპრილს შესრულდა ქართველი ჟურნალისტისა და მთარგმნელის მოსე ქარჩავას დაბადების 75 წლისთავი (1916-1965) მ. ქარჩავა იყო ნიჭიერი ჟურნალისტი, ერუდირებული ლიტერატორი, საუკეთესო მთარგმნელი. ოთხი წლის მანძილზე მოსე მუშაობდა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინგლისური ენის კათედრაზე. იგი იყო საქართველოს რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის სახელმწიფო კომიტეტის ლიტერატურულ-დრამატული გადაცემების რედაქტორი, ჟურნალ „ნიანგის“ პასუხისმგებელი მდივანი,

მ. ქარჩავამ, როგორც ინგლისური ენის წაუკეთესო მცოდნემ, მშობლიურ ენაზე თარგმნა უ. შეკსპირის „ტიმონ ათენელი“, ბ. შოუს „პიგმალიონი“, თ. დრაიზერის „ფინანსისტი“, ჯეკ ლონდონის „მოთხრობები“, ა. სეიფტის „გულივერის მოგზაურობა“ და სხვა ქმნილებები.

ფუეემატა „ზუგდიდის“ ფონდს

როგორც გაზეთი „ოდიში“ 28 მარტს თავის მკითხველებს აუწყებდა, ქალაქ ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის პრეფექტის განკარგულებით შეიქმნა ზუგდიდის ეკონომიკური და სოციალური განვითარების ფონდი „ზუგდიდი“. „ბინსოცბანკში“ გაიხსნა სპეციალური ანგარიში, სადაც საზოგადოებრივ მეურნეობებს საწარმოებს და დაწესებულებებს კოოპერატივებსა და მოსახლეობას შეუძლიათ სხვადასხვა სახის ეკონომიკური და სოციალური ღონისძიებებიდან მიღებული შემოსავლის გარკვეული ნაწილი გადარიცხონ ფონდ „ზუგდიდის“ ანგარიშზე. როგორც ზუგდიდის პურპროდუქტების კომბინატის დირექტორმა ვ. გულორდავამ გვაცნობა, კომბინატის დირექტორიამ ფონდ „ზუგდიდის“ ანგარიშზე გადარიცხა 10 ათასი მანეთი.

* * *

ახლავე ფონდ „ზუგდიდის“ ანგარიშზე უკვე გადარიცხეს საკმაოდ სოლიდური თანხა ხეცერის ჩაის მეურნეობისა და № 12 სამშენებლო ტრესტის შრომითმა კოლექტივებმა.

გუშინ, კიდევ ორი ქველმოქმედი ორგანიზაციის სახელი იქნა ცნობილი რედაქციისთვის. ზედაეწერის ჩაის მეურნეობის კოლექტივმა „ზუგდიდის“ ფონდში გადარიცხა 100.000 მანეთი, ახალბასთუმნის კოლმეურნეობამ 50 ათასი მანეთი.

ახლა, როცა ჩვენს ქვეყანაში ფართო გაქანება მიეცა ინდივიდუალურ შრომით საქმიანობასა და კოოპერატიულ მოძრაობას, მათი რეგულირებისათვის შეიქმნა სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია, ხოლო საქართველოს რესპუბლიკის ფინანსთა სამინისტროს ბრძანებულებით გაერთიანდა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციები და ეწოდა ქ. ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის ზონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია, რომელიც ფუნქციონირებს ქ. ზუგდიდში დავით აღმაშენებლის ქუჩა №11-ში.

„ინდივიდიალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ კანონის ძალაში შესვლასთან დაკავშირებით ზოგიერთი საკითხის გარკვევა ცხადყოფს, რომ ინდივიდუალური საქმიანობის მწარმოებელი მოქალაქეები და კოოპერატივში მომსახურე პირები ჯერაც არ არიან ინფორმირებული კანონთა ზოგიერთ ცვლილებებში, მათ შორის საფუძვლიანად არ იცნობენ „ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის შესახებ“ კანონის მე-6 მუხლის №14-478 და საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1989 წლის 27 ნოემბრის №1334 წერილებს, რომელთა თანახმად მოქალაქეთა კერძო ავტომობილებით მგზავრთა გადაყვანა შეიძლება მხოლოდ სათანადო ნებართვით და ამ საქმიანობაზე შესაბამისი გადასახადი ინსპექციის მიერ გაცემული პატენტით.

აღნიშნულიდან გამომდინარე ავტოტექმომსახურების საწარმოთა საყოფაცხოვრებო მომსახურების სამმართველოებთან, კოოპერატივებთან და საწარმოო ორგანიზაციებთან ხელშეკრულებით ინდივიდუალური შრომითი საქმიანობის წესით მგზავრების გადაყვანის უფლებას მოიპოვებს კერძო ავტომფლობელი იმ შემთხვევაში, როდესაც საცხოვრებელი ადგილის მიხედვით პრეფექტურა მისცემს ნებართვას საკუთარი ავტომობილით მგზავრთა მომსახურებაზე და გადაიხდის პატენტის საფასურს.

მიუხედავად ზემოაღნიშნული დადგენილების მოქმედებაში შესვლისა და ჩვენს მიერ სათანადო პირების დაუწყებისა, დღემდე გრძელდება კერძო მფლობელობაში ტრანსპორტით მოქალაქეთა მომსახურება, როგორც ინდივიდუალურ ისე კოოპერატივებში დასაქმებულ პირთა მიერ პატენტის საფასურის გადახდის გარეშე, რაც კანონსაწინააღმდეგოა.

ჩვენს მიერ ჩატარებული რეიდები ცხადყოფს, რომ ქ. ზუგდიდის საკოლმეურნეო ბაზარსა და მიმდებარე ტერიტორიაზე უხეშად ირღვევა საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 31 იანვრის დადგენილება,

მკაცრი კონტროლის დაწესებით

საკვების, საკონდიტრო და სხვა კოოპერატივების, აგრეთვე ინდივიდუალურად მომუშავეების მიერ ხორცის, კარაქის, შაქრის, კვერცხისა და შედედებული რძის პროდუქტებით დამზადებული ნაწარმის რეალიზაციის აკრძალვის თაობაზე.

სავალალოა ის ფაქტი, რომ ზოგიერთი მოქალაქისათვის ჯერ კიდევ შესახსენებელია ბიუჯეტის წინაშე ვალდებულებანი, კერძოდ, კი საშემოსავლო გადასახადის გადამხდელი მოქალაქეები, რომელთაც გაჩნიათ ინდივიდუალური შრომით საცხოვრებელი ბინების, ჯამ-ჭურჭლის თუ სხვა სახის შემოსავლებიდან სათანადო ნებართვები, ვალდებულნი არიან წარმოადგინონ დეკლარაციები, რომელთა შევსებისა თუ წარმოდგენის ვადებს გაეცნობიან საგადასახადო ინსპექციაში, ხოლო მათი წარმოუდგენლობის ან დამახინჯებული მონაცემების შეტანისათვის კანონით გათვალისწინებულია ჯარიმებისა თუ მკაცრი სანქციების გამოყენება.

წინა წლებთან შედარებით თითქმის შემცირდა საგადასახადო ინსპექციაში დაბეგრილ ინდივიდუალური საქმიანობის მწარმოებელ მოქალაქეთა კერძო პრაქტიკისა და რეპეტიტორთა რაოდენობა, რაც სავსებით არ შეესაბამება რეალობას. ზემოაღნიშნული კატეგორიის მოქალაქეებმა არჩიეს ფარულად ამა თუ იმ საქმიანობის წარმოება სათანადო ნებართვისა და დადგენილი გადასახადის გადახდის გარეშე, რაც ჩვენს მიერ შეუმჩნეველი არ დარჩენილა და მოქმედი კანონის შესაბამისად მათ მიმართ მიღებულ იქნება მკაცრი ზომები ფინანსური სანქციებიდან პასუხისგებაში მიცემამდეც კი.

ზოგიერთი მოქალაქე კი სწრაფად ვერ გაერკვევა კანონების მოქმედებაში და თავს არიდებს საშემოსავლო გადასახადის გადახდას, ხშირია შენობისა და რენტის თუ სასოფლო სამეურნეო გადასახადის არასრულად და არა თავისდროულად გადახდის ფაქტები. აღნიშნული კატეგორიის მოქალაქეთა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება ხელს უშლის საგადასახადო ინსპექციის ნორმალურ მუშაობას და მოსახლეობის საწინააღმდეგოდაა მიმართული.

ჩვენ ამჟამად შეგნებულად არ ვასახელებთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ურჩებად გვევლინებიან და მათ მიმართ მივიღებთ მხოლოდ ფინანსურ სანქციებს, ხოლო განმეორების შემთხვევაში საზოგადოებრივ გაკიცხვასთან ერთად დადგება საკითხი მათ პასუხისგებაში მიცემაზე. ამ ფაქტთან დაკავშირებით საგადასახადო ინსპექციაში შექმნილია სპეციალური სამსახური.

საგადასახადო ინსპექცია შსს ზუგდიდის ავტოინსპექციისა და სხვა კომპეტენტური მაკონტროლებელი ორგანოების ურთიერთმონაწილეობით საქართველოს რესპუბლიკის მიერ მიღებული დადგენილების შესრულებაზე დააწესებს მკაცრ კონტროლს, ჩაატარებს სისტემატურად რეიდებს. თქვენთვის საინტერესო საკითხებზე კი შეგიძლიათ მოგვმართოთ დავით აღმაშენებლის ქ. №11, ან დაგვიკავშირდეთ ტელეფონით 2-10-07, 2-13-14.

შ. კვარაცხელია,
ზუგდიდისა და ზუგდიდის რაიონის სახელმწიფო საგადასახადო ინსპექციის მოსახლეობიდან გადასახადებით დაბეგვრის განყოფილების უფროსის მოადგილე.

წერს ამერიკული პრესა

იგი დემოკრატების ლიდერია

ელცინის გამონათქვამები მიანიშნებს იმაზე, რომ ქვეყნის ორ ყველაზე გავლენიან პოლიტიკურ მოღვაწეს შორის არსებობს სრული და შეუქცევადი განხეთქილება.

ელცინმა შეინარჩუნა სიმშვიდე, თუმცა მის მიერ წარმოდგენილი ფორმულირებები თავისი ოპონენტის გასაკრიტიკებლად, გვაგონებს განცხადებას, რომელიც გააკეთა ყოფილმა საგარეო საქმეთა მინისტრმა ედუარდ შევარდნაძემ, როცა გვაფრთხილებდა, რომ „მოდის დიქტატურის ხანაო“.

მთელი ყურადღება ახლა მიპყრობილია გორბაჩოვის და ელცინის აშკარა პირად მტრობაზე. მაგრამ ამ ორ ადამიანს შორის, რომლებიც ერთ დროს რადიკალური გარდაქმნების განხორციელებას ერთად ესწრაფვოდნენ, არსებობს აგრეთვე პოლიტიკური უთანხმოება. გორბაჩოვი ამბობს, რომ ის რჩება თვითდაჯერებულ კომუნისტად და მან უარყო ხელისუფლების იმდაგვარი დეცენტრალიზაცია, როგორსაც ელცინი და სხვა რესპუბლიკების ხელმძღვანელები მოითხოვენ. ელცინი გამოვიდა პარტიის რიგებიდან გასული წლის ივლისის თვეში და მის გარშემო ერთიანდებიან საბჭოთა საზოგადოების ის ძალები, რომლებიც ცნობილნი არიან როგორც „დემოკრატები“, ანდა მარცხენა ფრთა. მართალია, ელცინს, მისი თქმით არ სურს გორბაჩოვის მაგივრად გახდეს პრეზიდენტი, თუმცა ის უეჭველად გახდებოდა თანასწორთა შორის პირველი იმ შემთხვევაში, თუკი ფედერაციის საბჭო აიღებდა ხელში ძალაუფლ[illegible]ს. ეს კი ნაკლებსავარაუდოა.

ელცინი უკვე დიდი ხანია ფართო მასების პოპულისტურ გმირად იქცა. მაგრამ იმავდროულად ის იქცა ანდრია სახაროვის აშკარა მემკვიდრედ, ინტელიგენციის ლიდერად, რომელიც რეფორმისტულ მოძრაობაში დომინირებულ როლს თამაშობს.

„არგუმენტი ი ფაქტი“
№8, 1991 წ.

რა ღირს ბენზინი?

ავტოტრანსპორტის მომრავლებამ ბენზინი ყოველდღიური ფართო მოხმარების საგნად აქცია. ის დეფიციტური საქონელია, მაგრამ ეს მის სპეკულაციურ ფასებში გაყიდვის უფლებას როდი ნიშნავს.

ზუგდიდში მრავალი ავტოგასამართი სადგურია, როგორც სტაციონარული, ისევე მოძრავი. ბენზინის სახელმწიფო ფასი ყველა მძღოლმა იცის. ესაა: ა-76—30 კაპიკი, აი-93—40 კაპიკი.

მიმდინარე წლის 2 აპრილიდან დაწესებული ახალი ფასები ბენზინს არ ეხება. ე. ი. დარჩა ძველი ფასი, მაგრამ ჩვენი ავტოგასამართი სადგურების მესვეურები ბენზინზე ფასს თვითნებურად აწესებენ. ქუჩხობონის ავტოგასამართში ა—76 მარკის ბენზინი 50 კაპიკად იყიდება, ხოლო აი—93—80 კაპიკად. ზუგდიდ-ანაკლიის გზაზე ინგირის ტერიტორიაზე მდებარე ავტოგასამართ სადგურებში აი—93 მარკისა—70 კაპიკადაა, ახალსოფლის გზაზე—აი—93 მარკის ბენზინი მანეთად იყიდება, ნაწულუკუს ავტოგასამართ სადგურში კი ა—76 60 კაპიკია, ხოლო აი—93 80 კაპიკი.

რა არის ეს?

ნუთუ ასეთი განუკითხაობა კვლავ უნდა გრძელდებოდეს? ძვირფასო რედაქციავ, იქნებ თქვენ განგვიმარტოთ, რა ღირს ბენზინი?

პატივისცემით მსუბუქი ავტომანქანების მფლობელები:
ე. შეროზია, ბ. მამფორია,
ნ. კვარაცხელია,
ჟ. ბელქანია.

რედაქციისაგან: მსგავსი შინაარსის წერილი არაერთი მოგვდის. რედაქცია საკითხის განმარტებისათვის პასუხს ელის ნავთობბაზის ხელმძღვანელებისაგან.

გაიცანით:

კინოფირმა „იუპიტერი“

ახალი მხატვრული ფილმის „პრემიერის“ ტიტრებში პირველად გამოჩნდება ფირმა „იუპიტერის“ სახელი. ეს შემოქმედებითი ორგანიზაცია შეიქმნა ნახევარი წლის წინათ კინოსტუდია „ქართულ ფილმთან“. და მას სათავეში ჩაუდგა თეატრისა და კინოს ცნობილი რეჟისორი გიგა ლორთქიფანიძე. მან და მისმა თანამოაზრეებმა საკუთარი პასუხისმგებლობით, პრაქტიკულად უსახსრებოდ, აიღეს სახელმწიფოსაგან ვალი და გახსნეს თავიანთი კინოწარმოება.

სურათი, რომელზეც გიგა ლორთქიფანიძე გმოავრებს მუშაობას, იქმნება დრამატურგ ლაშა ლი როსებას პიესის „პრემიერის“ მიხედვით. იგი დიდი წარმატებით იდგმებოდა მარჯანიშვილის სახელობის აკადემიური თეატრის სცენაზე. ლალი როსებას გმირები, რომლებიც უკვე გახდნენ პოპულარულები მრავალი თეატრის სცენაზე, პირველად ამეტყველდებიან ეკრანიდან. ფილმში მაყურებელი შეხვდება თენგიზ არჩვაძეს, ქეთევან კიკნაძეს, გია ბურჯანაძეს და სხვებს.

რეჟისორის ისეთი გახმაურებული თეატრალური დადგმები, როგორიც არის ნოდარ დუმბაძის „მე ვხედავ მზეს“, „მებზია, ილიკო და ილარიონი“, ბოლიკაშვილის „ვანომის ჯვარზე“ [illegible] „ხმალი“, მაქსიმ გორკის „ფსკერზე“, დიდი მოწონებით სარგებლობენ. მისმა ფილმებმა: „დათა თუთაშხიამ“ და „ოთარაანთ ქვრივმა“ [illegible] მაყურებლის ნაყოფიერი სიყვარული და აღიარება დაიმსახურა.

„პრემიერა“ ფირმა „იუპიტერის“ პირველი ნამუშევარია. გვინდა გვწამდეს, რომ კინემატოგრაფის ცის კაბადონზე აკიაფებული „იუპიტერი“ არ ჩაესვენება და მისი შემოქმედებითი ბიოგრაფიის პირველი ფურცელი გახდება ფილმის ხანგრძლივი და ნაყოფიერი საქმიანობის საწინდარი.

საქინფორმი.

ის დღეები სოფლად

სტარტს აიღებს ორმოცდაათი „საქართველო“

ჩხოროწყუს მეურნეობის [illegible] ბრიგადირი ე. ნემსაძე, კოლექტივი, რომელიც მეათე წელია შრომის იჯარული ფორმით მუშაობს, თავის წონად სიტყვას იტყვის მიმდინარე წელს სასოფლო სამეურნეო პროდუქტების წარმოების ამაღლების საქმეში. მექანიზატორთა ნაცადი თაობა, კვლავაც აკეთებს ყველაფერს ჩაის ნედლეულის უდანაკარგოდ ალებისათვის.

შეკეთდა ტექნიკა. 800 ჰექტარ მოსავლიან ჩაის პლანტაციაში შემოდგომა-ზამთარში დამთავრდა სასუქების შეტანა, გადაბარვა-გაფხვიერება.

დღეისათვის დამთავრებულია პლანტაციების გასხვლის სამუშაოები, მიმდინარეობს ასაქცევებისა და დრენაჟების გასწვრივ ჩაის ბუჩქების გასხვლა-ფორმირება.

გასულ სამეურნეო წელს საჰექტარო მოსავლიანობამ მიაღწია შვიდ ტონას.

ზედაეწერელები მთლიანად მზად არიან სეზონისათვის. ახლოა ის დღეებიც. სულ მალე სტარტს აიღებს ორმოცდაათი მობილური მანქანა „საქართველო“.

სიმღერის ხიბლი

ახლა, როდესაც სულიერი საგრძნობლად გადაბინდა არსებობაზე ფიქრმა, როდესაც ადამიანი დაშორდა თავის ფესვებს, იქნებ ხელოვნებისათვის ანთებული თვითეული სანთელი ღირდეს ფიქრად და მოგონებად.

ისიც სანთელივიდ ჩუმად და უპრეტენზიოდ იწვის, იწვის და სხვებს უნათებს გზას.

სიმღერის, ხელოვნების, ქართული ძირძველი კულტურის სიყვარულმა მოიყვანა იგი ხულიხმიერ ტაძართან.

ბესიკ აკაკის ძე ჭითანავა, სიყვარულით და პატივისცემით ეფერს ეს სახელი იმისთვის, ვისთვისაც ძვირფასია ერის სულიერი საგანძური. მას არცერთი მუსიკალური სასწავლებელი არ დაუმთავრებია. საოცარი ქარხული სიმღერების ხიბლმა ამავე დროს შესანიშნავი მასწავლებლების: პოლიკარპე ხუბულავას, ორდენ ლეთანძის, ვახტანგ ჯორჯიკიას, გერმანე ფაყავას სიმღერისადმი ტრფიალმა აქცია ამ დიდი საქმის უანგარო მოღვაწედ.

ბევრი ზუგდიდელი მოხიბლულა მის მიერ ჩამოყალიბებული ანსამბლ „მახარიას“ რეპერტუარით. სიცოცხლეზე, სიყვარულზე მღერიან ჭატარები. „მახარიამ“ მონაწილეობა მიიღო ქართული ხალხური სიმღერის პირველ საერთაშორისო ფესტივალზე. ანსამბლი ატარებს სახელმწიფო ანსამბლის წოდებას.

სიმღერის ხიბლი

არ შეიძლება აღფრთოვანება არ მოგგვაროს ფაქტმა, რომლითაც ცხადი ხდება, თუ როგორ ცდილობს ბესიკ ჭითანავა ქართული სიმღერის პოპულარიზაციას უცხოელთა ფართო წრეში.

ფესტივალზე გაიცნო მან ამერიკის შეერთებული შტატებიდან ჩამოსული ქართული ანსამბლის წევრები, ქართველოლოგი ფრანკ კეინი და მუსიკოსი ალან გასერი.

ორივე ბრწყინვალედ ფლობდა ქართულ ხალხურ სიმღერებს, მათ შორის ურთულეს მეგრულ სიმღერებსაც, აღნიშნავს ბესიკი.

ამერიკელი სტუმრები ზუგდიდშიც ჰყავდა მას. საოცარი სიყვარულით ეფერს ამერიკელი ქართველოლოგის მიერ გამოგზავნილი ქართულ ენაზე დაწერილი ბარათი: „ძალიან ხშირად ვფიქრობ შენზე და იმ დღეებზე, როცა ჩვენ ვიყავით სამეგრელოში, ძალიან მადლობელი ვარ, რომ ასე გულთბილად მიგვიღე და დაგვეხმარე, ახლა მეც ვუკრავ ყოველ დღე ჩონგურზე. იმდენი საყვარელი დღეები იყო, რომ მგონია ჩემი ახლანდელი ცხოვრება ნახევრად ცარიელია. შენი ძმა ფრანკ კეინი“.

საინტერესოა სხვისი თვალით დანახული საქართველო და იქ, სიცარიელის შეგრძნება...

ბესიკი აგრეთვე არის ზუგდიდის ფოლკლორის მოყვარულთა გაერთიანების „მერეხის“ თავმჯდომარე, რასაც გააჩნია საკუთარი ემბლემა. ზუგდიდის კულტურის სახლთან (დირექტორი ნ. ჯაბუა) ფუნქციონირებს ბავშვთა ქართული ხალხური სიმღერების შემსწავლელი სტუდია, რომელიც მოამზადებს პრაქტიკის მცოდნეებს, ლოტბარებს, რასაც ზთელის მოწდომებით ხელმძღვანელობს ბ. ჭითანავა.

მას ახლახან შეუსრულდა ოცდახუთი წელი და ეს წლები შინაარსიანი, ნათელი წლებია— ქვეყნისათვის სასარგებლო წლები. იგი ნაყოფიერად მოღვაწეობს ქალაქ გალშიც, სადაც ჰყავს „მახარიას“ ანალოგიური ანსამბლი „მახარე“. საინტერესო იყო ორივე ანსამბლის მიერ ჩატარებული ერთობლივი კონცერტი კომპანიის კულტურის სახლში. ამ დღეს აღზრდილებმა დაბადების დღე მიულოცეს აღმზრდელს.

მალე გამოვა „მახარიას“ პირველი ფირფიტა,— ამბობს ბესიკი. მაგრამ მთავარი ეს როდია, მთავარია, არ დაიკარგოს ის უდიდესი ხმოვანების სიმღერები, რაც საუკუნეების მანძილზე შექმნილა. დიახ, მთავარი სწორედ ეს არის და კიდევ ის, რომ ცხოვრების საზომად გვქონდეს ამ სიმღერებში ჩადებული ნათელი აზრი: სიყვარული, კაცთმოყვარეობა, ერთმანეთის სულთან მიახლოების ნიჭი.

გზები ნათლისა, ბესიკ!

ლ. ფირცხალავა.

ბანცხადებები

სდს სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა მიმდინარე წლის 25 აპრილს 12 საათზე კრებაზე იწვევს ორგანიზაციასთან არსებულ შემდეგი კოოპერატივების თავმჯდომარეებს: „მახარია“, „ოდიში“, „აიეტი“, „თამშუხი“, „ბაიკო“, „პოსეიდონი“, „მაგნოლია—90“, „გამმა“, „შევარდენი“, „ბაგრატი“, „ხელმარჯვე ოსტატი“, „კლონი“, „ელექსირი—100“, „მშენებელი“, „ანკარა“, „აკიდო“, „ყულიშკარი“.

ზემოთ ჩამოთვლილი კოოპერატივების თავმჯდომარეებს შევახსენებთ, თუ არ გამოცხადდებიან კრებაზე, გაუუქმდებათ ბანკში ანგარიშის ნომერი და მათი ყოველგვარი ოპერაცია, ბუნებრივია, ძალდაკარგულად ჩაითვლება.

სდს სამეგრელოს სადროშოს ზუგდიდის რეგიონალური ორგანიზაციის გამგეობა.

მდინარე ენგურის კალაპოტის გასწვრივ მდებარე საზოგადოებრივ მეურნეობათა და მცხოვრებთა საყურადღებოდ!

ენგურჰესის კასკადის დირექცია იტყობინება, რომ 1991 წლის 15 აპრილიდან მოხდება ჯვარის წყალსაცავიდან წყლის გაშვება. ვინაიდან პროგნოზით დიდი წყალდიდობაა მოსალოდნელი და პროექტით წყალსაცავის შევსება შეზღუდულია, ენგურის ძველ კალაპოტში გაიშვება 500 კუბური მეტრი წყალი. წყლის გაშვება მოხდება დამატებითი გაფრთხილების გარეშე.

ციაშ-ეწერის არასრული საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი თანაუგრძნობს მწუხარებაში ციალა და ტიხონ ქორთუებს დედის ჭაჭუს გარდაცვალების გამო.

სამეცნიერო საწარმოო გაერთიანების ზუგდიდის ფილიალის კოლექტივი იუწყება გურამ ერანტოს ძე ჯაბუას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

შვილი ხათუნა, სიძე გოჩა, მზახლები: ჯემალი, ფლორა თორდიები შვილებით დათო, ილო და ხვიჩაი იუწყებიან ალბერტ სევასტის ძე მესხიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის კანისა და ვენსნეულებათა დისპანსერის თანამშრომლები იუწყებიან ექიმ ვენერა ევგენის ასულ კვარაცხელიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

ზუგდიდის რაიონის სახდაზღვევის ინსპექცია იუწყება სერგო ელიზბარის ძე კუტალიას გარდაცვალებას და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

„საქაგრომრეწვტრანსის“ ზუგდიდის ავტოკოლონა №2682-ის კოლექტივი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ გარდაიცვალა ალბერტ სევასტის ძე მესხია და თანაუგრძნობს განსვენებულის ოჯახს.

განმუხურის საშუალო სკოლის პედკოლექტივი და ტექპერსონალი იუწყებიან